№ 41
პარასკევი, 24 თებერვალი 1895

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1895

ივერია

№ 41
პარასკევი, 24 თებერვალი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერია“
გამოვა 1895 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІЯ“.

ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვკისრულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(15—10)

ვამზადებ ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლების 1-ლის კლასისათვის, შემიძლიან სახლშიაც ვიარო, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის; მსურველთ შეუძლიანთ პირობები და ადრესი „ივერიის“ რედაქციაში შეიტყონ.

(3—ჟ—3).

ახალი ამბავი

⁂ ბათუმელი საკუთარი კორესპონდენტი დეპეშით აუწყებს გაზ. „კავკაზს“, რომ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა მემკვიდრე ცესარევიჩი, რომელსაც თან ახლდნენ კავკასიის მთავარ მართებლის თანაშემწე გრაფი ტატიშჩევი, საპატიო კარის-ექიმი პაპოვი, ექიმი იაკოვლევი, მისი უმაღლესობა ბარონი შტაკელბერგი, გულაკ არტემოვსკი, მაისმანი და ტფილისის ჟანდარმის მმართველობის უფროსი გენერალი იანკოვსკი, გუშინ საღამოს მეთორმეტე საათზედ ბორჯომიდგან ბათუმში წამობრძანდა.

ბათუმის გზა ჩირაღდნებით იყო განათებული, ხოლო სადგურები ბაირაღებით და მწვანით შემკული. დილით, რიონის სადგურზედ მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დაუხვდნენ ოლდენბურგის პრინცი თავისის მეუღლით, სამხედრო გუბერნატორი გენერალი შალიკოვი, გარნიზონის უფროსი გენერალი მილოვი, თავად-აზნაურობის დეპუტაცია და ქალაქის მოურავი ბ-ნი ლოლუა. სადგურზედ ჩამწკრივებული იყო ჯარი მუსიკით.

მემკვიდრე ცესარევიჩმა ჯარს შუა გაიარა, რომელიც აღტაცებულის „ურათი“ მიეგება.

იმისი უმაღლესობა ბათუმში მშვიდობით მობრძანდა ნაშუადღევის პირველ საათზედ. მშვენიერი დარი იდგა. ქალაქი მორთული იყო ბაირაღებითა და მწვანით. მისს უმაღლესობას მრავალი ხალხი დაუხვდა „ურას“ ძახილით, ზარებს რეკავდნენ და ჯარი სამხედრო მუსიკას უკრავდა.

გემზე „Полярная звѣзда“ მისს უმაღლესობას წარუდგა კამანდირი თავ. შახოვსკი. $2^1/_2$ საათზედ გემი ალჟირში გაემგზავრა.

დღეს ზუგდიდში დაკრძალეს პრინც მურატის ნაშთი.

⁂ გუშინ რუსეთის ფოსტა არ მოგვსვლია.

⁂ ძმ. ნიკიტინების ცირკის არტისტი ფერდინანდ კრისტენსი, რომელიც, სამშაბათს მოულოდნელად თამაშობის დროს აუზში ჩავარდა და მძიმედ დაშავდა, უკვე გარდაიცვალა. კრისტენსი ნიჭიერი და საზოგადოების საყვარელი არტისტი იყო.

⁂ დღეის-სწორს, ხუთშაბათს 2 მარტს, თავ. მუხრანსკის სახლებში, კლუბში გამართული იქნება კონცერტი ქართულ დრამატიულის საზოგადოების სასარგებლოდ, რომლის მოთავედაც იქნება მეუღლე თავ. გ. ზ. ანდრონიკაშვილისა აქვე იქნება გამართული ბუფეტი; სასურველია, ყველა ქართველი თანაგრძნობით მიეგებოს ამ კონცერტს, რადგანაც საჭიროება დახმარებისა ყველასათვის ცხადია, მეტადრე ეხლა, როდესაც დრო და ხალხის მოთხოვნილება ფრიად დიდია და საზოგადოებას-კი არ შეუძლიან მათი დაკმაყოფილება.

⁂ სოფ. ყარაღაჯში, გორის მაზრაში, სომხის მღვდელს მ. ტერ-ასატურიანცს უთხოვნია სასულიერო მთავრობისათვის სამრევლო სასწავლებლის დაარსების ნება რთვა. მაშინ როდესაც ქართლში სომხის მღვდლები ასე სასიქადულოდ ჰმოქმედებენ, ნეტავი რას სჩადიან ქართლელი ქართველი მღვდლები, ჰბაძავენ მათ თუ არა? ჩვენ ბევრი მაგალითი ვიცით ქართლში, რომ სასკოლო სახლიცა აქვთ, სწავლის სურვილიც ბევრსა აქვს, მაგრამ სამრევლო სასწავლებლის დაარსება-კი მაინც ვერ მოუხერხებია ჩვენებურს მღდელს.

რედაქციის შენიშვნა.

სიამოვნებით ვაცხადებთ, რომ ჩვენ მივიღეთ დაბა ლანჩხუთიდგან სრულიად საკმარისი საბუთის ქაღალდი, რომელმაც დაგვარწმუნა, რომ ჩვენის გაზეთის 31 ნომერში დასტამბული კორრესპონდენცია ლანჩხუთის ფოსტის უფროსის შესახებ სრულებით სიმართლეს მოკლებული ყოფილა.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ არა ერთხელ მიგვიმართავს კორესპონდენტებისათვის თხოვნით ნუ გვწერთ იმგვარ ამბებს, რომელნიც სიმართლეს მოკლებულია, ნუ შეგყავთ გაზეთი შეცდომაში გაგონილის და ხშირად მოგონილის ამბების შეტყობინებით და სხვა, რადგანაც გაზეთს არა აქვს ხელში საშუალება ყოველთვის შეიტყოს სინამდვილე წერილისა, მაგრამ არა გაგვივიდა-რა?!

მეაბრეშუმეობა გურიაში და იმისი მომავალი.

ერთსა და იმავე მხარეში, ერთსა და იმავე დროს არსებობს მრავალგვარი წარმოებანი, მაგრამ ერთს რომელსამე წარმოებას უსათუოდ პირველი ადგილი უჭირავს მკვიდრთა ეკონომიურს წარმატებაში. დღევანდლამდის გურიის ეკონომიურ საფუძვლად სიმინდი ითვლებოდა, მაგრამ ამ ბოლოს დროს იმისი მნიშვნელობა ცოტ-ცოტათი მცირდება. სიმინდის ფასის დაცემამ ერთობ დააქვეითა უიმისოდაც დაცემული ქონებრივი მდგომარეობა გურულის გლეხისა. მაგრამ ბედმა არ მოიძულა ჩვენებურები. თუ სიმინდის ფასი დაეცა, სამაგიეროდ მეაბრეშუმეობა გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში. მართალია, დიდი ხანია, რაც გურიაში აბრეშუმის მოყვანას მისდევენ; მაგრამ წინად აბრეშუმი მოჰყავდათ ისე, სხვათა შორის, უფრო დროს გასატარებლად. შინაური თესლი არ იყო კარგის ღირსებისა, ჭიებს ხშირად ავადმყოფობა ეწვეოდა ხოლმე და ამიტომ მოსავალიც ცოტა იყო შრომის შედარებით. მაგრამ სულ სხვანაირად დატრიალდა საქმე, როდესაც სოფლელებმაც დაიწყეს ცელულიარული თესლის შეძენა, მიიღეს მხედველობაში მცოდნე კაცთა დარიგება და შეისწავლეს უფრო გონივრული მოვლა ჭიისა სოფლის მასწავლებელთაგან. მოსავალმა შესამჩნევად იმატა, მაგალითად გასულს წელს ზოგიერთმა ოჯახმა გაჰყიდა პარკი, ან აბრეშუმი სამოც მანეთამდის ღირებული, რაც დიდად საგრძნობელი შეძენაა სოფლელისათვის, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ყაჭს უვლიან განსაკუთრებით ქალები და ისინიც იმისს მოვლას ახმარებენ მხოლოდ თავისუფალს დროს.

ამ გვარად დღეს მეაბრეშუმეობა დაადგა წარმატების გზას და ქვეყანას დიდ სიკეთეს უქადის. ყოველს წარმოებას, გარდა ქონებრივის სარგებლობისა, აქვს ფორმალური მნიშვნელობა. მეაბრეშუმეობას ამ მხრივ ძვირად თუ შეედრება სხვა წარმოება.

ფელეტონი

გურიის ავ-კარგი.

ყოველი დაწესებულება წლის თავზედ ანგარიშს აძლევს ხოლმე უმაღლესს მთავრობას მთელის წლის ნამოქმედარში. რა თქმა უნდა ასე მოიქცეოდნენ ძველი ჩვენი ადმინისტრატორები და ასე იქცევიან ეხლანდელი ჩვენი ქვეყნის გამგენიც. რა გვარი სტატისტიკური ცნობები იგზავნებოდა ერთის წლის წინად? რის გაკეთებას ჩემობდნენ ჩვენი ქვეყნის გამგენი? რა გვარი გარდასახადი და რამდენი იბოჭებოდა? რა საჭიროებას უფრო ხმარდებოდა ჩვენი ძალ-ღონე? რამდენი სასარგებლო დაწესებულება დაარსდა ამ წლებში, ან რამდენმა მათგანმა დალია სული? წინ მიდიოდა ჩვენი ცხოვრება, თუ უკან? ყველა ეს ჩვენთვის ბნელით მოცულია და არავინ ჩვენგანმა არ იცის დაბეჯითებით, თუ რა იწერებოდა იმ წლების ანგარიშში. უკეთუ ის სტატისტიკური ცნობები სიმართლეს მოკლებულნი არ იქმნებოდნენ, რა თქმა უნდა, სასიკეთოს ვერაფერს ამოვიკითხავდით შიგ. აქ იქნებოდა ნაჩვენები თუ რამდენი ყაჩაღი თარეშობდა ჩვენში, რამდენს სოფელში რამდენი კაცი იდგა ეკზეკუციად, იქნებოდა ნაჩვენები დარაჯთა უმრავლესი რიცხვი და მათ შესანახად მოგროვილი ფულის რაოდენობა, სისხლის სამართალში მიცემულ გზა-დაბნეულ ცხოვართა რიცხვი; გამოანგარიშებული იქნებოდა თუ რამდენმა სოფელმა გააუქმა ერთხელვე შემდგარი განაჩენი და სკოლა უარ-ჰყო, რამდენი უვარგისი ხიდის და გზის პატრონი ვიყავით და ყველა ამის დასაგვირგვინებლად ნაჩვენები იქნებოდა იმ სვეუბედურთა რიცხვი, რომელიც გურულებისავე ოფლით ნაყიდს ტყვიას გააქრობინეს სიცოცხლე. დიაღ, ცუდი დრო იყო ის და წლიური ანგარიშისთვისაც არაფერს სანუგეშოს იძლეოდა. ვისი ბრალი უფრო იყო ჩვენი ცხოვრების ასე გაუკულმართება, ეს თითონ განგებამ გასაჯოს; ხოლო ცნობების შემკრები, რა თქმა უნდა, წლიურს ანგარიშს ასეთს შენიშვნას მიაყოლებდა: „რა ვქნათ? გურია ავაზაკების ბუდეთ გადაიქცა. ძარცვა, რბევა, ავაზაკობა თითონ გურულების ბუნებრივი თვისება არის და ასეთ ხალხთან გადასახლების გარდა სხვა ღონე ვერ გასჭრისო“. ასე გასინჯეთ ზოგი გაზეთებიც-კი იმ აზრისა იყო. გურულები რომ არც ასე სახელგასატეხნი ყოფილან, ეს სხვათა შორის, იმ სტატისტიკურის ცნობებიდგანა სჩანს, რომელიც ახლა შეუკრებია მაზრის ადმინისტრაციას. ანგარიშში ნაჩვენებია უკანასკნელის სამის წლის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულობათა და თულების რიცხვი, გასულს 1894 წლის განმავლობაში დამართულის სკოლების რიცხვი, ამავე წელში დაკეთებულის გზის რაოდენობა და სხ. და სხ. ჩემი ყურადღება-კი უფრო ზოგმა უსაჭიროესმა ცნობებმა მიიპყრეს. ნაანგარიშევია, რომ 1892 15 მკვლელობა მომხდარა, 1893 წ.—6 და 1894 წ.—4. გაუძარცვავთ პირველს საანგარიშო წელში 16 კაცი, მეორეში—10 და მესამეში—2. თულად გავარდნილი ყოფილა 1892 წ. 5 კაცი, 1893 წ. 3 და 1894 წ. მხოლოდ ერთი. შეკრებილია ცნობები ყველა სასისხლო დანაშაულობათა შესახებ და საყურადღებოა ის გარემოება, რომ ყველა მათი დარგი ან სულ ჰქრება უკანასკნელს წლებში, ან შესამჩნევად მცირდება. როგორც მკითხველი ჰხედავს, 1894 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი კაცი-ღა გაურბოდა ჩვენში სამართალს, გვარად ქუთათელაძე და აგერ რამდენიმე წელიწადია იმის ბაიბურიც არ ისმის, არც ის იცის კაცმა, ცოცხალია თუ მკვდარი.

სხვა რა უკეთებიათ გურულებს უკანასკნელის წლის განმავლობაში? 4 მამასახლისი, 39 სხვა მოხელე გამოუცვლიათ, რომელნიც გასულს, ჩვენთვის მწარედ მოსაგონებელს, წლებში მოუსხდნენ იმ დუმას, რომელსაც სოფელს ეძახიან და რომელიც ასე ბრიყვულად ეჩაგვრინება ყველა მხვრელ-მწოვნელსა. გაუკეთებიათ 197 ვერსი და 419 საჟ. გზა, ამათში 104 ვერსი და 255 საჟ. კიდეც მოუკენჭავთ; მიუბარებიათ სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში 4442 მ. 56 კაპ. სასოფლო თანხის ფული; მოუგროვებიათ მარტო გლეხ-კაცობას—3045 მან. 81 კაპ. ოზურგეთში განზრახულის სამეურნეო განყოფილების დასაარსებლად და ამავე საგნისათვის კომლი კისრულობს 25 კაპ. შეტანას წლიურად. ყველა ამასთან დაუარსებიათ 1894 წლის განმავლო-სამი ორ-კლასიანი და სამი თითო-კლასიანი სასწავლებელი. ამნაირად გურიაში დღეს სამრევლო სკოლების გარდა 25 სამინისტროს სკოლა ითვლება და ამათში ცხრა ორ-კლასიანია. მთელს მაზრაში მარტო 2 საზოგადოება არის სამრევლო სკოლების ანაბარად, სახელდობრ: ზემოხეთი და ნანეიშვილისეული, მაგრამ მგონი დიდს არც ესენი დაიყოვნებენ. თუ რამდენად პატივს სცემს გურული სწავლა-განათლებას, აქედგან დაინახავთ. ლეხაურმა, სადაც ორას კომლზედ ბევრით მეტი არ არის, ორ-კლასიანის სასწავლებლის შენახვა იკი-

ბევრ ნასწავლს კაცს ჰსურს, რაიმე სარგებლობა მოუტანოს სოფელს, მაგრამ ყოველთვის აბრკოლებს ხალხის დაუჯერებლობა, თითქმის სიძულვილიც, რადგან სოფელი ნასწავლებს სხვა თვალით უყურებს: ხომ არ გადასულა ჩვენს რჯულზეო და ხომ არ დაჰვიწყებია ჩვენი ჩვეულებანიო. ამიტომ ბევრი კეთილი და სასარგებლო აზრები არ ვრცელდება ხალხში.

ვისგან შეიგნო სოფლელმა ცელიულიალურის თესლის უპირატესობა შინაურს თესლზედ. სოფელში განათლების წარმომადგენელისაგან — მასწავლებლისაგან. ვინ ასწავლა მას აბრეშუმის უფრო გონივრული მოვლა? იმავე მასწავლებელმა და საგანგებოდ ამისთვის გამოგზავნილმა კაცებმა. ასე რომ აქ განათლებული კაცი გლეხისათვის აუცილებელი საჭიროება გახლავთ, ის უკეთებს ყოველს საჭირო საქმეს. ამგვარის საქმის მდგომარეობა უნებლიედ აიძულებს სოფელს, რომ განათლებას პატივი სცეს და უფრო დაჯერებით მოეპყრას ნასწავლის კაცის დარიგებას. გარდა ამისა, მეაბრეშუმეობას სრულიად არ მოჰყვება შედეგად ზნეობითი შელახვა მკვიდრთა, როგორც მაგალითად არაყის ხდას. ამგვარად ეს მშვენიერი წარმოება მოითხოვს დახმარებას, წინ გაძღოლას. საზოგადოდ, ჩვენნი განათლებულნი ჯერჯერობით მარტო ლაპარაკით კმაყოფილდებიან. ასტეხენ გაზაფხულზედ ერთს ალიაქოთს, გაძარცვეს ხალხი, გაატყავესო, მაგრამ გათავდება საქმე თუ არა, იმითი ბაგენიც სდუმდებიან მეორე გაზაფხულამდის. საქმე-კი ამით არც ფერს იცვლის და არც ზნეს. ისევ მოდიან ოსმალეთიდგან ლატაკნი ბერძნები, ისევ მოაქვთ ავადმყოფი, ნახევრად გამოუდეგარი და ცუდის ჯიშის თესლი, ისევ ჰყიდიან ძვირად, არიგებენ სოფელში სანახევროდ, ატყუილებენ ხალხს პარკის სყიდვის დროს წონაში და ფასში, მაგრამ ჩვენ მაინც არაფერს ვაკეთებთ. განა შეუძლებელია ამგვარის მიზეზების აცდენა? სრულებითაც არა, მიხვალთ სოფელში თუ არა, აგერ ერთი გთხოვს ტფილისიდგან თესლის გამოწერას, აგერ მეორე, აგერ მესამე, ესე იგი სულ ყველა დარწმუნებულია, რომ სხვა რიგად უნდა მოიქცნენ, ცუდის თესლის სყიდვას თავი დაანებონ და სხვა. აი, ვისაც გული სტკივა, ისარგებლოს იმათის ნდობით, რომ უფრო კეთილს გზაზედ დააყენოს ისინი. მაგრამ ცალკ-ცალკე რასაკვირველია, ვერას გავაწყობთ. შევერთდეთ ყველანი, და დავაარსოთ ერთი ამხანაგობა, რომელსაც აზრად ჰქონდეს მარტო მეაბრეშუმეობის გავრცელება ჩვენს ქვეყანაში. ჯერ, რასაკვირველია, ეს საქმე მცირეთი დაიწყება, მაგრამ საკმაოა, რომ აბრეშუმის სალი თესლი მივაწოდოთ სოფლელს და შეღავათი აღმოვუჩინოთ იმისს სყიდვაში. შემდეგ რასაკვირველია, უმთავრეს საგნად ის ექმნება ამხანაგობას, რომ ქარხნებსა და მწარმოებელთა შორის დააარსოს პირ-და-პირი კავშირი და ამით კრიჭა შეუკრას ვაჭარ-ბაცაცებს და სოფლის ნაშრომი სოფელსავე დაარჩინოს. იტყვიან, საიდგან უნდა დაარსდეს ამხანაგობა, რომ ფული არ არისო?—განა ბევრი ფული უნდა? აქ მხოლოდ კეთილი სურვილი და სინიდისია საჭირო. გაიხსენეთ, გრომშით დაწყებული ამხანაგობა როტშილდებისა და მაშინ მიხვდებით, რომ მომქმედ ძალას დიდი ფული არ უნდა. ამხანაგობა ისეთის კანონებით უნდა იყოს დაფუძნებული, რომ თვით მწარმოებელსაც შეეძლოს მონაწილეობის მიღება. პირველად იმისი მოქმედება შეუმჩნეველი იქმნება, მაგრამ ნიადაგი იმგვარია, რომ უქადის განვითარებას; წარმოიდგინეთ, რა იქნება, რომ ქარხანაში გადიტანოთ ხელით ნაქსოვი დარაია, შალ-აბრეშუმი და სხვ. ეს ხომ ღვთის წყალობა იქნება ჩვენთვის. ქარხანა ისე შეაკავშირებს ჩვენის ქვეყნის შვილებს, რომ ასეთი შეკავშირება არა გვარს წარმოებას არ შეუძლიან. გაჩნდება საზოგადოებრივი ცხოვრება, როდესაც თითოეული იგრძნობს, რომ საზოგადოების კეთილდღეობა იმისი კეთილ-დღეობაა და იმისი დასაკლისი საზოგადოების დასაკლისია. შეიქნება ერთგვარი მისწრაფება, ერთის საგნისადმი მიმართულება და ამ გვარად ქვეყანა დაადგება ჩქარსა და უტყუარს წარმატების გზას.

ვ. ს.

* * *

ნაწყვეტი.

გულო, გაგტანჯა სატრფომან,
შხამ-გესლი დაგალევინა,
არ შეგიბრალა, გაგწირა,
იმედი მოგაკვლევინა,
და შენი სისხლი მდუღარე
ცრემლებათ დაგაღვრევინა.

დ. მაჩხანელი.

* * *

უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონი.

10-ს თებერვალს, გვამი განსვენებულის უგანათლებულესის თავადის ალექსანდრე ბაგრატიონისა წამოასვენეს ტფილისიდგან იმერეთს. მიცვალებულს თვალცრემლიანი უხვდებოდა საზოგადოება რკინის გზის სადგურებზედ; განსაკუთრებით შესანიშნავი იყო დახვედრა ხაშურისა, ბელაგორისა და ყვირილის სადგურებზე.

ხაშურის სადგურზედ მრავალ თავად-აზნაურთა და გლეხ-კაცობის თანადასწრებით განსვენებულს პანაშვიდი გადაუხადა ბლაღოჩინმა სუხიაშვილმა სხვათა მღვდელთ მონაწილეობით; აქ მღვდელმა ბ. ბებიაშვილმა გრძნობით სავსე სიტყვები წარმოსთქვა. მივედით ბელაგორის სადგურზედ თუ არა, შემოეგება მატარებელს ქალი და კაცი, სადაც მიცვალებული ესვენა და დაიწყეს ხმა-მაღლა ტირილი.

შუაღამის 2 საათზედ მივედით შორაპნის სადგურზედ და დავრჩით სუყველანი მეორე დღის 9 საათამდის, აქედგან-კი 9 საათზედ უნდა გავმგზავრებულიყავით საგანგებო მატარებლით ყვირილის სადგურზედ, სადაც გვიცდიდა შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა მღვდლებით. ათის ნახევარზედ მივედით ზესტაფონს.

კაცი ვერ გამოსთქვამს, თუ რა გლოვა-ტირილით შემოგვხვდა საზოგადოება; აქ დეკანოზ დავით ღამბაშიძემ პანაშვიდი გადაუხადა მიცვალებულს და შემდეგ წავასვენეთ სოფლისკენ. თუმცა სამი ცხენით გაბმული ძვირფასი ბალდახინი იყო მომზადებული მიცვალებულის ნაშთის წასაღებად, მაგრამ საზოგადოებამ ისურვა მიცვალებულის ხელით წასვენება.

სოფლებს ადრევე გაგებული ჰქონდათ, მიცვალებულს რომელის გზით წაასვენებდნენ, ამიტომ როგორც თითო-ოროლა ვერსს გავივლიდით, წინ შეგვხვდებოდა ქალი და კაცი მღვდლებით ტირილ-ჟივილით. ასეთი მომტირალნი ზესტაფონიდგან მოკიდებული სასახლემდის ათჯერ შეგვხვდა და თან გაგვყვნენ სასახლემდე.

ალექსანდრე იყო ძე ივანე ბაგრატიონისა; ივანე ბაგრატიონი-კი შვილის შვილი იყო იმერეთის უკანასკნელ მეფე სოლომონის ძმის ბაგრატისა.

დავით ბაგრატიონს რაჭის ერისთავის ვახტანგის ქალიშვილი დარეჯანი ჰყავდა მეუღლედ; რუსების შემოსვლის დროს დავითს ურჩევდა მთავრობა, რომ რუსეთში გადასახლებულიყო ოჯახობით. ეს დავითმა არ ინება და მთავრობას უთხრა: „უფლება აღარა მაქვს-რა და ციმბირს რად უნდა წავიდეო? სხვა მხარე ჩემთვის ციმბირი არის, გთხოვთ აქვე დამტოვოთო“.

მთავრობა შეიწყნარებდა ამ თხოვნას, მაგრამ გრიგოლ წერეთელმა არ მოუსვენა და მას მთავარ-მართებელთან სულ ამ ნაირად აბეზღებდა: „თუ დავით ბაგრატიონი რუსეთში არ გაგზავნეთ, საშიში არის, რადგანაც ხალხს აგვიჯანყებსო“.

მაშინ დავით ბაგრატიონი თავისის ერთგულის კარის-კაცებით იძულებული შეიქმნა გავარდნილიყო ტყეში. ამ მდგომარეობაში იგი მოკლულ იქმნა. განსვენებულის დავითის შემდეგ დარჩა: მეუღლე მისი დარეჯანი, ორი ქალიშვილი მარიამი და ეკატერინე და ორი ვაჟიშვილი ივანე და თეიმურაზი. დავითის სიკვდილის შემდეგ, ივანეს მეტი, ყველა რუსეთში გადაასახლეს. მცირე-წლოვანი ივანე-კი (მამა აწ უკვე განსვენებულის ალექსანდრესი) მოიტაცა მისმა ერთგულმა აზნაურმა მერაბ ყიფიანმა და სათათრეთში გადაიყვანა; თხუთმეტი წელიწადი სათათრეთში გაატარა. შემდეგ ივანე ისევ თავის სამშობლოში ბრუნდა და დიდი დავითს წერეთლის ქალიშვილი ელისაბედი შეირთო. შემდეგ ივანეს დებიც დაბრუნდნენ რუსეთიდამ და ერთი მათგანი სახელდობრ, ეკატერინე თავ. ნიკო ერისთავმა შეირთო, მეორე და მარიამი თავ. დავით ერისთავმა; თეიმურაზი რუსეთშივე დარჩა და უმემკვიდროდ გარდავიდა.

ივანე ბაგრატიონს ყველა შვილები დაეხოცა და მხოლოდ ალექსანდრე დარჩა.

ეს მეოთხედ აირჩია შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობამ თავიანთ წინამძღოლად (მარშლად). ცხონებულს ძლიერ უყვარდა თავისი ხალხი; ძალიან თავდაბალი და კეთილი კაცი იყო,

განსვენებულს დარჩა ექვსი თვის ვაჟი დავითი.

ვარდენ ყიფიანი.

* * *

როგორ დაეცა მეორე იმპერია.

ჟურნალ Revue des deux Mondes-ში საინტერესო ცნობებია მოყვანილი ეტიენ-ლამის მიერ—შესახებ იმპერატორის ნაპოლეონ III მეფობის გაუქმებისა და იმ წესის შესახებ, რომელიც ნაპოლეონ III დაამყარა საფრანგეთში, იმის შემდეგ, რაც რესპუბლიკის საერთგულოდ მიღებული ფიცი გასტეხა და ძალად გამეფდა. ავტორი ლაპარაკობს შესახებ პარისის მონაწილეობისა ამ საქმეში. 3 სექტემბერს 1870 წელს საღამოს 4 საათზედ პარისში შემდეგი დეპეშა მოვიდა: „ჯარი დამარცხებულია და ტყვედ არის წაყვანილი; მეც თვითონ დატყვევებული ვარ— ნაპოლეონი“. ამ დეპეშით საფრანგეთის იმპერატორი ატყობინებდა საფრანგეთს, რომ გერმანიის ჯარმა დაამარცხა იგი და ტყვეთაც წაიყვანა.

საღამოს 7 საათი იყო, როდესაც ეს ამბავი მთელს პარისს მოეფინა და ერთიანად აღელვა პარისელები. ხალხი ყველა ქუჩებში და მოედნებზედ იყრიდა თავსა და ერთს მითქმა-მოთქმაში იყო. პოლიციელები სცდილობდნენ ხალხი დაეფანტათ, მაგრამ ამაოდ. ხალხი მედგარ წინააღმდეგობას აცხადებდა და ებრძოდა ამათ. ქუჩებში და სახლებში აქა-იქ წითელი ბაირაღები გამოჰფინეს. აჯანყებული ხალხის რიცხვი თან-და-თან მატულობდა; ბოლოს ყველამ პარლამენტის სასახლისკენ წასვლა გადა-

---

სრა. ასევე მოიქცა ორი სხვა პატარა საზოგადოება: მიქელ-გაბრიელი და ხვარბეთი. შემოქმედის საზოგადოება, რომელიც სამას კომლს ვერ გადააჭარბებს, ინახავს ორს სკოლას, რომელთაგან ერთი ორ-კლასიანი არის. ნიგოითი, რომელშიაც 239 მეკომური ირიცხება, ინახავს ორს სასწავლებელს, ერთი მათგანი მეტად კოხტა შენობაა და, ცოტა რომ ვსთქვათ, ოთხი ათას მანეთზედ ნაკლებად არ ეღირება. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყველა ეს სკოლები სავსეა მოსწავლეებით, მაშინ გურულებს უმეცრების ტრფიალს ვერ დავსწამებთ და უკეთუ ამ სკოლებმა საიმისო სარგებლობა არ მოიტანა და იმედი გაგვიცრუა, ამაში პასუხის-მგებელი ისინი იქმნებიან, ვისაც დღევანდელის სკოლის ბედ-იღბალი აბარია და ვისაც ამ ძნელის საქმის გაძღოლა უკისრია. ასე გაძლიერებული სწავლის სურვილი მეტად საიმედო ნაპერწკალი არის და დიდი სიფრთხილე ჰმართებთ ჩვენის სკოლების ძიძებს, რომ სხვა-და-სხვა ანგარიშებით გატაცებულმა აღზრდის საქმემ სრულიად არ ჩააქროს ჩვენში ეს საიმედო ნაპერწკალი და გურულებს მათისავე ოფლით დაარსებული სკოლებისათვის ზურგი არ შეაქცევინოს. დიახ, შემცდარი არის ის, ვინც გურულს უმეცრების ტრფიალს დასწამებს და არა ნაკლებ შემცდარნი ბრძანდებიან ის ვაჟბატონები, რომელთაც ძარცვა-რბევა და ავაზაკობა გურულების ბუნებრივ თვისებათ ჩასთვალეს. ყოველს საწალმართო საქმეზედ გონიერი ჩამგონებელი გურულს ადვილად დაიყოლიებს და ვინც ამ წარმართების გზაზედ გაუძღვება მას, დიდს სიყვარულს დაიმსახურებს ჩვენის ხალხისას. დიდს ნდობას დაიმსახურებენ ჩვენი ეხლანდელი ადმინისტრატორები, უკეთუ ამ გზით ივლიან და ისეთს ძეგლს აიგებენ გურულების ხსოვნაში, რომელიც ჩინ-აპელატებზედაც მაღლა იდგომება და ფულზედაც და რომელსაც სიკვდილი ვერ შეჰმუსრავს. ნუ თუ სირცხვილი მაინც არ იქნება, კაცმა ასე შეანებულს, დამჯერე ხალხში იტრიალოს, რამდენიმე წლის სამსახურის შემდეგ უკან მიიხედოს და თავის ნაკვალევზედ როზგის და ჯარიმების, შევიწროების და ისედაც მოღლილ უმცროს ძმათა დაჩაგვრის მეტი ვერაფერი ვერ აღმოიკითხოს? ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ქვეყნის გამგენი ერთხელვე არჩეულ საწალმართო გზით ივლიან, რადგან საიმისო ნიშნები უკვე დაგვანახვეს, მაგრამ საკვირველი ის არის: რას უცდის ჩვენი თავად-აზნაურობა? როგორც მოწინავე წოდება, რატომ შეძლების და-გვარად ხელს არ შეუწყობს ღვიძლის ერის წარმატებას? რაც ჩამოვთვალეთ, ეს ხომ ყველა გლეხ-კაცობის ნამოქმედარი არის და სხვა წოდებისა ხომ გროში არ ურევია ამაში. რად განცალკევებულა ეგრე მაღალი წოდება? რად დავიწყებიათ, რომ წინანი უკანასთვის უნდა იქნეს გზად და ხიდად? თუ მათი სახელოვანი წინაპარი არ თაკილობდა გლეხთან საქმის დაჭერას, რუ ისინი მოწინავე რაზმში ებრძოდნენ სამშობლო მტერს, რატომ დღევანდელი თავად-აზნაურობა თავისს უმცროს ძმებთან ერთად არ ებრძვის დღეს ყველა მტერზედ უსაშინლესს მტერს,—ჩვენს უმეცრებას, ჩვენს სიბეჩავეს? ნუ თუ იმას სთვლიან ქვეყნის გულ-შემატკივრობათ ზოგი მათგანი, შუამავლობას რომ უწევენ ქათმების ჭამია პრიჩეტნიკებს და ქუდ-მოგლეჯილი გარბიან, სადაც ჯერ არს: არიქა ესა და ეს პრიჩეტნიკი მიკურთხეთ მღვდლათაო? რატომ ასე გულგრილად დაუხვდა ეს საპატიო წოდება ოზურგეთში განზრახულს სამეურნეო განყოფილებას? რატომ ვერ ჰპოვა კეთილშობილთა წოდებაში ერთი მიმბაძავი? ა. სიობერიძემ, რომელმაც საკუთარის მხნეობით რამდენიმე ასი მანეთი მოაგროვა, შრომას ეწევა, მდინარე გობაზეულზე საკუთარის თაოსნობით ძვირფასს ხიდს აკეთებს და ს. ხიდის თავში წიგნთ-საცავის დაარსებასაც-კი ჰლამის?

იმედს ვიქონიებთ, რომ ეს საპატიო წოდება მოჰხედავს კარის მეზობლის გაჭირვებას და ისედაც ჭირ ნანახ გლეხკაცობას საკუთარს ჭირს არ მოახვევს თავზედ. თუ კანონი არ ავალებს მათ გზების და ხიდების კეთებას, ზნეობრივი მოვალეობა მაინც მოითხოვს, შემწეობა მისცენ გლეხკაცობას ისეთი საქმის კეთებაში, რომელიც ხელს შეუწყობს მთელის სოფლის ზრდასა და წარმატებას წოდებათა განურჩევლად. გზები, ხიდები და სკოლები განა გლეხებზედ ნაკლებად ესაჭიროება მაღალს წოდებას? არსად იმდენი ძნელი საკეთებელი გზები არ არის, რამდენიც გურიაშია და უკეთუ ჩვენ იმას ვუცადეთ, სანამ შიმშილისაგან არაქათ-გამოლეული, უზომო გაჭირვებით მოღალული და გაბეჩავებული გოგია ან პეტრია გზას გაგვიკეთებდეს, მანამდის რამდენიმე ასი და ათასი კეთილშობილთა წოდების ხარ-კამეჩი და ცხენი მოიგრეხს კისერს ჩვენებურს დახრამულს გზებზე, ,,სანამ არავის გაუგლეხებივარ, რად ვიმუშავებ გზასაო‘‘ გვეტყვის პასუხად რომელიმე აზნაური, რომელიც იქნება ჭკუით სჯრის მაგრამ გულით არ ზომავს. მეც კარგად ვიცი, რომ სოფლის მოხელე ამას ბეგარაზედ ვერ დაუძახებს, მაგრამ მაინც ვიტყვი:

,,ქმნა მართლისა სამართლისა
ესა შეიქმს ხმელსა ნედლად.‘‘

შუბნელი.

სწყვიტა და წავიდნენ კიდეც.

ამ დროს, როდესაც ქუჩებში რევოლიუცია ხდებოდა, ნაპოლეონის მინისტრები იმის სჯაში იყვნენ, თუ როგორ გადაარჩინონ იმპერია ამ განსაცდელისაგან. იმპერიის მომხრეებმა გადასწყვიტეს ისეთი მინისტრები დაეყენებინათ, რომელთაც სასახლის ნდობა ჰქონდათ დამსახურებული. მაგრამ მაშინ, როდესაც მთავრობის პარტია თავისას ცდილობდა, მისს მოწინააღმდეგე ლიბერალებს, მემარცხენეებსაც არ ეძინათ: პარლამენტში, ღამის სხდომაზედ, 3 სექტემბერს, წამოდგა გამოჩენილი მემარცხენე ჟიულ ფავრი და 27 დეპუტატის სახელით შედგენილი დეკრეტი წაიკითხა, რომლის ძალითაც ნაპოლეონი და მთელი იმისი გვარეულობა მეფობიდგან უნდა გადაყენებულიყო და დროებით ახალი მთავრობა დამყარებულიყო. ამ გადაწყვეტილების წაკითხვის დროს პარლამენტში სამარისებური მდუმარება ჩამოვარდა. მხოლოდ ერთი პინარი, რომელიც ნაპოლეონის მინისტრადი იყო, არ დასთანხმდა ზემოხსენებულს დადგინებას. საქმე სრულიად აირია.

იმპერატრიცას, რომელიც იმ ჟამად პარისში ბრძანდებოდა, არ უნდოდა დაეთმო ვისმესთვის თავისის ოჯახის უფლება. პარლამენტში უმეტესობას არ ჰსურდა ძალა ეხმარა და იმპერატრიცას წინააღმდეგ ემოქმედნა. ამ დროს ბუფფემ ერთი საშუალება მოიგონა, რომელიც გაუადვილებდა პარლამენტს საქმეს. „იმპერატორი რომ ტყვედ არისო, მინისტრების დანიშვნა იმისი უფლება იყოო და რა კი ეგ უფლება არც იმპერატრიცასათვის და არც არავისთვის არ გადაუცია მას, ამიტომ ერთად-ერთი ბატონი და ხელმწიფოს თავი პარლამენტიაო.

მაგრამ შემდეგში სულ სხვაფრივ მოხდა საქმე და დამტკიცდა, რომ ერთად ერთი საშუალება ის იყო, რომელიც ჟულ ფავრმა დაასახელა.

4 სექტემბერს მშვენიერი, მზიანი დღე იყო. გათენებისათანავე გაზეთების გამყიდველებმა ღრიალით მთელი პარისი ფეხზედ დააყენეს. ხალხი ქალაქის ყველა უბნებში იყრიდა თავსა. ქუჩებში, მოედნებზედ, ყავახანებში, დუქნებში სულ ერთსა და იმავესა ჰფიქრობდა ხალხი: პარლამენტისკენ წავიდეთო. 10 საათი იქნებოდა, როდესაც მუშები გზას გაუდგნენ; ბევრი მათგანი ცოლ-შვილით მისულიყო. თან-და-თან მათ კიდევ ემატებოდნენ აჯანყებულნი. გამოჩნდნენ მეთაურებიც. ყველა ცხარე ბრძოლის მოლოდინში იყო. პარლამენტთან მთავრობამ 7 ათასი ჯარის კაცი დააყენა. «თანხმობის» ხიდს ჟანდარმები და პოლიციელები იცავდნენ.

დეპუტატებიც უფრო ადრე მივიდნენ პარლამენტში. ყველას აინტერესებდა, რას დაადგენენ ისინი. გამოვიდა, რომ პარლამენტში იმპერატრიცასთან ერთად გადაეწყვიტათ დანიშვნა სარეგენტო კომისიისა, რომელსაც მთავარ-მართებლობა უნდა ეკისრა. მაგრამ გვიან-ღა იყო: ამაზედ არავინ დაჰყაბულდებოდა. ამ დროს პარლამენტში წამოდგა ტიერი და შემდეგი წინადადება მისცა დეპუტატებს: „რადგან მეფის ადგილი სავაკანსიო არის, პარლამენტი სამეფო საქმეების სამმართველოდ კომისიას ირჩევს“. უმრავლესობა ეთანხმებოდა ამ აზრს, ხოლო იმ პირობით-კი თუ პირველი ხუთი სიტყვის მაგიერ ასე დაიწერებოდა: რადგან გარემოება ამას ითხოვს...

ორს საათს 40 წუთი აკლდა, როდესაც პარლამენტის პრეზიდენტმა სხდომა გახსნა. ამ დროს პარლამენტის გარშემო აურაცხელი ხალხი იდგა და ღელავდა როგორც ზღვა, პოლიციელ-ჟანდარმები და ჯარი ვეღარ იკავებდა იმათ. ამ დროს გვარდიის ცხენოსანი ჯარი იერიშით მივიდა აჯანყებულებზედ; მაგრამ ესენი არ შეუშინდნენ — გაუმკლავდნენ და უკუ აქციეს. აქ-კი ხალხი გათამამდა, შევარდა და პარლამენტი დაიჭირა. სწორედ ამ დროს მოხდა ის დაუვიწყარი ამბავი, როდესაც გამბეტტა ავიდა ტრიბუნაზედ და იქიდგან მაღალისა და გამბედავის ხმით წაიკითხა რესპუბლიკელ დეპუტატების შემდეგი გარდაწყვეტილება: „ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი, იმისი შთამომავლობა და გვარი ამიერიდგან საუკუნოდ გადაყენებულ არიან საფრანგეთის მეფობიდგან‘‘. „გაუმარჯოს რესპუბლიკას, ახალს მმართველობას!“ შეჰყვირა ამაზედ დარბაზში მყოფმა ხალხმა. ბოლოს რესპუბლიკელებმა Hôtel de Uille-ისკენ წასვლა გადასწყვიტეს. გამბეტტა მდინარის მარჯვენა ნაპირზედ გაუძღვა ხალხს; ჟულ-ფავრი-კი მარცხენა ნაპირზედ.

როდესაც აჯანყებულნი პარლამენტში შეცვივდნენ, ამ დროს ზოგიერთმა მიჰმართა გენერალ ტროშუს: — გვიშველეთ, თორემ იმპერია იღუპებაო. ტროშუ ცხენზედ შეჯდა და გასწია პარლამენტის დასაცველად. მავალს ხიდზედ აურაცხელი ხალხი დახვდა და გზა შეუკრა; იმათ ვიღაც მაღალ მაღალი კაცი წინამძღოლობდა.

— საით მიდიხართ, გენერალო? — დაეკითხა იგი.

— პარლამენტისაკენ, უპასუხა ტროშუმ.

— პარლამენტი ხალხის ხელშია. იმპერია აღარ არსებობს. ახალი მთავრობა Hôtel de Uille-ში უნდა შესდგეს. მე — ჟულ ფავრი ვარ!»

◆ ◆

რუსეთის ცხოვრება.

—

გუშინ დეპეშამ შეგვატყობინა ნ. ს. ლესკოვის გარდაცვალება. ლესკოვი რუსეთის ცნობილი ბელლეტრისტი იყო და სალიტერატურო მოღვაწეობა 1860 წლიდგან დაიწყო. თავისის პირველი რომანებით ლესკოვი წინააღუდგა მესამოცე წლების იდეებს, მაშინდელს პროგრესიულს მიმართულებას; ასევე მოიქცა ლესკოვი მესამოც-და ათე წლებში, როდესაც მან ტენდენციური მოთხრობებით ბრძოლა დაუწყო ახალგაზდობის მაშინდელს მოძრაობას. ამგვარი მისი რომანებია, მაგალითად: ,,Некуда‘‘ ,,Обойденные‘‘, „На ножахъ‘‘ და სხვა. მაგრამ ნიჭიერი მწერლის სახელი მან დაიმსახურა სულ სხვაგვარის თხზულებებით, რომლებშიაც ტენდენცია-კი არ იყო, არამედ ცხოვრების ნამდვილი აღწერილობა და დასურათება. შემდეგი თხზულებები სასულიერო წოდების ცხოვრებას შეეხება, მაგალითად: ,,Соборяне‘‘, и Владычный судъ‘‘-ი Некрещенный попъ“ და სხვა. უკანასკნელს წლებში ლესკოვი ლიბერალურს ჟურნალებში სწერდა.

◆ ◆

უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

ევროპის სხვა-და სხვა ქალაქებში შემოღებულია ქონდრის კაცების გამოფენა. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი ამბავი, რომელიც ბოჰემიაში მოხდა; ამ მოკლე ხანში იქ დაუპატიმრებიათ ვინმე იოგან პროხასკა. ამ კაცს ის ბრალი ედებოდა, რომ დრო გამოშვებით მიუნსტერისა და გოლშტეინის ფირმით ქონდრის კაცებს გამოჰფენდა ხოლმე. მაგრამ ესენი ბუნებით ქონდრის კაცები კი არ ყოფილან, არამედ ბავშვები, რომლებიც ერთგვარის ზრდის მოხერხებით ქონდრის კაცებად გამოდიოდნენ. ჩვენების ჩამორთმევის დროს პროხასკა ყველაფერში გამოტყდა. დასახელებული ფირმა თითო ბავშვში მშობლებს 200 გულდენს აძლევდა თურმე. ხოლო თუ ბავშვი ორის წლის უკან ცოცხალი დარჩებოდა — კიდევ 200 გულდენს. კომისიონერობისათვის პროხასკას თითოეულ ბავშვის თავზე 50 გულდენი ეძლეოდა

◆ ◆

წერილები რედაქციის მიმართ.

—

19 ამა თებერვალს 11 წლის ჩემი ვაჟი ყვირილიდგან ქუთაისის სასწავლებელში გავისტუმრე; რადგან მე დრო არ მქონდა, მოჯამაგირე გავატანე, ბიჭისათვის სრული და ბავშისათვის ნახევარი ბილეთები ვიყიდე, ყვირილასა და რიონის სადგურებს შუა წასასვლელად. უმაწვილისათვის ნახევარი ბილეთი ჩამოურთმია ერთს მოხუცებულს კონტროლს და რიონზედ კი დაუჭერია ჩემი ბავშვი, ამასთან იმ ზომის ბილეთებით, სხვა 11 ბავშვებიც დაეტუსაღებია. მთელად ის ღამე მეორე დღე 20 თებერვლის 6-ს საათამდის დღე და ღამე გარეთ სიცივეში ყრილიყვნენ გაყინულნი და მშიერ-მწყურვალნი მოჯამაგირიანად. მეორე დღეს მოჯამაგირეს ხანჯალი მიეცა და ესრეთ წოდებული ორმაგი ფასი გადაეხადა, ჩემი პატარა შვილი დაეხსნა და სხვა 11 ბავშვები-კი იქვე დაეტოვებინა ატირებული.

ეს მესამედ შეამთხვია წვალება იმ ბატონმა პატარა უმაწვილებს. ამის გამო თქვენის გაზეთის საშუალებით ვეკითხები რკინის გზის ბ. ბ. გამგეთ, რომ შემცდარი და თავისის დანიშნულების გაუგებარი რომელი მათგანი არის? ქუთაისისა და ყვირილას სადგურებს შუა რა ფასის ბილეთი ეკუთვნის უმაწვილებს, თითონვე უნდა იცოდნენ ბილეთების გამყიდველებმა. და თუ არ იციან, რომ დამნაშავენი არიან საბრალო ბავშვები, რომლებიც დედის მოშორებით ისედაც თვალ-ცრემლიანები მიდიან სასწავლებლისკენ, რად უნდა წვალობდნენ ნორჩნი მოსწავლენი და რად დაჰყარეს მთელი დღე და ღამე გარეთ ყინვაში მშიერ-მწყურვალნი. იმედია, ვისაც ჯერ არს ყურადღებას მიაქცევს ამ გვარს უწესობას და ერთხელ და სამუდამოდ მოსპობს.

ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე გიორგის ძე არდიშვილი.

—

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნათ ქ6ს ელისაბედ გულისაშვილისას, რომელმაც შეაგროვა სხვა-და სხვა პირებისაგან 54 მან. და 15 კაპ. სოფ. საგარეჯოს წიგნთ-საცავის სასარგებლოდ და გადაეცა წიგნთ საცავის კომიტეტის წევრებს საჭირო წიგნების შესაძენად და ჟურნალ გაზეთების გამოსაწერად. ვისურვებთ, რომ ქ6 ელისაბედ გულისაშვილის მაგალითს მიჰბაძონ სხვებმაც და შრომა არ დაზოგონ ჩვენის ღარიბ წიგნთ-საცავის შესავსებლად,

წევრნი საგარეჯოს წიგნთ-საცავის კომიტეტისა.

20 თებერვალი
1893 წ.
ს. საგარეჯო.

1) ა. იაშვილი
2) ს. ქურდოვანიძე.
3) მ. მურვანიშვილი.

◆ ◆

სხვათა შორის.

—

ნება მიბოძეთ, ზოგი რამ ვკითხო „ივერიის“ შემწეობით; უნდა ვიკითხო იმისათვის, რომ პროვინციამ, სადაც ჟურნალ-გაზეთები იშვიათად და დაგვიანებულად მიდის, ლამის სულ დამაყრუვა!.. მადლობა ღმერთს, ახლა, ეს ცხრა დღეა, რაც ქალაქად ჩამოვჩანჩალდი და რაც ამ ექვსის თვის განმავლობაში არ წამიკითხავს — გულდასმით გადავიკითხე, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ გავიგე შემდეგი:

I წარსულს წლებში «ივერიის» მეთაურით (1893 — №№ 181, 255; 1894—49) სხვათა შორის, გამოითქვა, რომ თუ რამე მცირეოდენი უთანხმოება არის წოდებათა შორის — ეს დღითი-დღე ქარწყალდება და ერთობის ტაძრის კედლები თან-და-თან მატულობს და მაგრდებაო, „კვალმა“ ზარითა და ზეიმით კიჟინა დასცა მას, დაარქვა ამ წერილს უნაყოფო ოცნების შედეგი და მთელი ცხრა თვე ცრემლითა და ქვითინით ის ამტკიცებდა, რომ ამ წოდებათა შორის საშინელი უბსკრულია, რომელზედაც ხიდი არ არის გადებული და თუ არის — ისიც ჩანგრეული და ჩატეხილიაო!..

ამ წლის 19 თებერვალს იმავე „კვალმა“ ამ საგნის შესახებ აი როგორ გამოსთქვა თავისი აზრი: ,,სჩანს, რომ ჩატეხილი ხიდი თავადებსა და გლეხებს შორის შეკეთების გზას დასდგომია. შორს აღარ არის ის დრო, როდესაც კაცს ჩამომავლობით-კი აღარ დააფასებენ, არამედ პირადი(ს) ღირსებით‘‘ და სხვ.

ვკითხოთ: ამ დღეებში მოხდა ასეთი ცვლილება ამ გარემოებისა, თუ იგი „ივერიის“ მეთაურის ეპოქის თანამგზავრიც იყო და „კვალის“ მებაირაღდრე თუ უცილობდა იმის შესახებ, ეს იმისათვის, რომ მოსაშინაურებელ ბეღურასავით თვალ-აკრილი იყო და ვერასა ჰხედავდა? ან შეიძლება „კვალს“ წესად ისა ჰქონდეს, რომ „ივერიამ“ აღდგომა დღეს, «ქრისტე აღსდგა» სთქვას «ჭეშმარიტად»-ის ნაცვლად, ყოველივე უარი-ჰყოს და უცილობდეს...?

II. არ შეიძლება «კვალმა» ადრესი გამოგვიგზავნოს იმ მესამე დასისა, რომელმაც უარ-ჰყო უღირსთა მიმართულება; რომელიც არც თავადთა და არც გლეხთა ინტერესებს არ ემსახურება; «რომელმაც დიდებისა და წინმსვლელობის გზა გაჰკაფა და გააფართოვა; რომელმაც ნაციონალური გრძნობა წინ წაიმძღვარა და დროშა დამოუკიდებლობისა ააფრიალა?»

სწორედ მოგახსენოთ, ყოველი კუთხე და არე-მარე ჩვენის კოპწია ქვეყნისა შემოვიარეთ და ვერსად ვერ ვიპოვეთ ეს ფრიალა დროშა და ვერც მისი ფრიალი გავიგონეთ... შეიძლება თითონ «კვალი»-ს რედაქციაში ფრიალებდეს, — ჯერ იქ არ შევსულვართ?

III. «კვალის» მე 9 ე №-მა, რომ შემდეგი გამოაცხადა: ,,ამ დღეებში ,,კვალი‘‘-ს რედაქციამ მიიღო დასაბეჭდათ დუტუ მეგრელისაგან მოთხრობა .,საშინელი ქარიშხალი‘‘ და ვაჟა-ფშაველასაგან მოთხრობა ,,მუმლი‘‘ ო. ეს რა სარეკლამო საქმე იყო!?

ჩვენ ვიცით, რომ, როდესაც საფრანგეთში ვიქტორ ჰიუგო, ფლობერი, ვოლტერი, რომელსამე თავისის კალმის ნაწარმოებს გაუგზავნიდნენ ამა თუ იმ ჟურნალ-გაზეთს, ეს უკანასკნელი ახარებდა ხოლმე მკითხველებს, რომ იგინი იმ დღეებში დასტკბებოდნენ დიდებულის ადამიანის თხზულების კითხვით, მაგრამ იქიდგან აქამდისინ დიდი მანძილია!.. და თუ მაინც-და-მაინც ასეთი ჩვეულება შემოიღო «კვალმა» ყველას შესახებ, — მაშინ რაღა დუტუთი და ვაჟათი დაიწყო და არა აკაკით, რომელმაც მას თავისი «პანორამა» გაუგზავნა.

უდეის.

◆ ◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 თებერვალი.

ლონდონი. მუშიდგან იუწყებიან, რომ იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სომხების საქმე გაერჩია — თავი დაანება თავისს საქმეს, რადგან ეხლა ძნელია იმისი გამოკვლევა, თუ ვინ არის დამნაშავე და ვინ არა ხალხის ამოწყვეტაში. უცხო დელეგატების გამგზავრების შემდეგ მუსულმანთა ფანატიზმმა კვლავ გაიღვიძა. ვანის, ბითლისის, მუშისა და არზრუმის ქრისტიანები კვლავ განსაცდელში არიან.

პეტერბურგი. გაზ. ,,სვეტ‘‘-ს შეუტყვია, რომ სტამბოლის ელჩი დ. ტ. ს. ა. ი. ნელიდოვი — პარისში იქმნება გადაყვანილიო, ბარონი მორენჰეიმი-კი პარიზიდგან — ვენაში, კოპენჰაგენის ელჩი მ. ნ. მურავიევი დაინიშნება სტამბოლის ელჩად. ხოლო ბერლინის ელჩად-კი თავადი დოლგორუკოვი. პეტერბურგში ელიან თეირანის ელჩს ტ. ს. ე. კ. ბიუცოვს, რომელიც, გაზეთების სიტყვით, ახალს ადგილს მიიღებს.

„ნოვოე ვრემიას“ სიტყვით ნება დაერთოთ ვარშავაში გამოიცეს მეორე გაზეთი რუსულს ენაზედ, სახელად „ვარშავის ფურცელი“.

ინფლუენციით გადაიცვალა ცნობილი მწერალი ნ. ს ლესკოვი. გადაცვალებულს ანდერძად დაუგდია: «დამასაფლავეთ უბრალოდ, სიტყვები არა წარმოსთქვათ-რა და საფლავზედ უბრალო ჯვარის მეტი არა დამადგათ-რაო».

◆ ◆

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი მ. ტერბოგიჩი. ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

ი. ფ. შრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაშეტიანცი, 1—1¹/₂ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ზ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა I	1	„
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	4
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
სვიის გვირგვინი . . .	„	10
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . .	„	10
რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. .	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა . .	3	
შალვას თავგადასავალი ცახელისა	„	15
მარიამი	„	10
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
სატაური ან. თუმანიშვილაისა	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა .	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა .	„	40
ლექსები ვახტ. ორბელიანისა	„	60

ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

ფასი ერთი შაური

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

„ივერია“

1895 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით. . . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 50,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	[illegible]	4 ,, 75,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, 50,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქი გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7¹/₂ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება
ვალერიან გუნიას მიერ
შედგენილი და გამოცემული

საქართველოს კალენდარი 1895 წ.

წიგნი შეიცავს 600-მდე გვერდს და დასურათებულია 65 ნახატებით,
ფასი 50 კაპ.

უბის წიგნი 1895 წ.

მშვენიერს ყდაში და ყარანდაშით, ფასი 30 კაპ.

საოჯახო კედლის კალენდარი 1895 წ.

დასურათებული და ფერად წამლით დასტამბული,
ფასი 10 კაპ.

სახალხო კალენდარი 1895 წ.

დასურათებული და მრავალ საჭირო ცნობებით შევსებული,
ფასი 5 კაპ.

ქართული მიწერ-მოწერის კრებული

სახალხო გამოცემა,
ფასი 15 კაპ.



VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკორი ბენიდიქტნი
Fécamp-ი სააბატოსი (საფრანგეთში)
საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.
ყველაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

ისყიდება საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში და ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

(ღ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებული ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2)' იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალესანდრეს ძის ივანოვის სადგომში.

(100—721—»)

უმაღლესად დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

დაზღვევა სიცოცხლისა

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

დაზღვევა ცეცხლისაგან

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

დაზღვევა ტრანსპორტებისა,

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 3) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევა ბილეთება მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემბას ნავთ სადგურებზედ.

50—6—8

Дозвено цензурою, Тифлисъ 22-го Февраля 1895 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.-გობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე